ლიტერატურული კლუბი „მეტამორფოზა“

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ლიტერატურული კლუბის სტატუსი და წევრობა

სსიპ ქალაქ ბათუმის N2 საჯარო სკოლის ლიტერატურული კლუბი ,,მეტამორფოზაში“

გაერთიანებული არიან მხატვრული ლიტერატურითა და შემოქმედებითი საქმიანობით დაინტერესებული მოსწავლეები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ კლუბის

წესდების ფორმირებაში და სამოქმედო გეგმის შედგენაში,

კლუბი წარმოადგენს სკოლის ბაზაზე დაფუძნებულ არაფორმალური განათლების სტატუსის მქონე ორგანიზაციას,რომელშიც გერთიანებულები არიან მე-8-მე-11 კლასის მოსწავლეები სამოტივაციო განცხადების საფუძველზე, რომელსაც მშობელთან ერთად წარმოადგენენ.

კლუბი სარგებლობს სკოლის მატერიალური ბაზით და მის კონტროლს ახორციელებს სკოლის დირექცია

მუხლი 2 კლუბის წევრების უფლებები და მოვალეობები

1 .სკოლა ვალდებულია დაიცვას მათი უფლებები და თავისუფლება, არ შეზღუდოს მათი ქმედება მათი უფლებების დასაცავად.

2.კლუბის წევრს ევალება იყოს პასუხისმგებლიანი კლუბის საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, იყოს კორექტული და პატივი სცეს სხვის აზრს, იზრუნოს სამოქმედო გეგმის ყველა პუნქტის განხორციელებაზე.

მუხლი 3. კლუბის შემადგენლობითი სტრუქტურა

1. **კლუბს ხელმძღვანელობს** ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, რომელიც თანამშრომლობს მშობლებთან.
   კლუბის შემადგენლობაში შედიან VIII-IX-X-XI კლასის მოსწავლეები.

2 .ლიდერი მოსწავლეების ფუნქციები:

- ლიდერი მოსწალე ორგანიზებას უწევს კლუბის წევრების მობილიზებას ღონისძიებებისა და შეხვედრების ეფექტური წარმართვისათვის.
- წარმოადგენს კლუბს სხვა პირებთან ურთიერთობაში;
- ზრუნავს კლუბის სივრცის ტექნიკური უზრუნველყოფის გასამართავად;

მუხლი 3 კლუბის ხელმძღვანელი მასწავლებლის ფუნქციები :

- წლის განმავლობაში უზრუველყობს კლუბის წარმატებულ საქმიანობას;
- კლუბში გაწევრიანების მსურველთათვის წინასწარ ათავსებს სოციალურ ქსელში კლუბის ფუნქციონირების შესახებ. ეტაპობრივად აქვეყნებს კლუბის აქტივობების ამსახველ ფოტო-ვიდეო მასალასა და ინფორმაციას.

- საკლუბო მუშაობის დასასრულს წარადგენს რეფლექსიას კლუბის საქმიანობის შესახებ, შეძლო თუ არა კლუბის საქმიანობამ მიზნის მიღწევა, რა მოხერხდა და რა ვერ განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ფარგლებში, რა მიმართულებით საჭიროებს კლუბი გაუმჯობესებას;

მუხლი 4 ლიტერატურული კლუბის მიზნები: და ამოცანები

1. **მიზნები:**
    - კომუნიკაციის უნარების გამომუშავება;
    - გუნდური მუშაობის უნარების ჩამოყალიბებას;
    - მოსწავლეებში წიგნიერებისადმი ინტერესისა და ლიტერატურული გემოვნების გაზრდა;
    - მშობლიური და მსოფლიო ლიტერატურის მიღწევებისა და სიღრმეების ზიარება;
    - პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას;
    - კრიტიკული აზროვნების განვითარებას;
    - თვითშეფასების ამაღლებასა და თავდაჯერებულობას;
    - დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღებას.
2. **ამოცანები:**

- ლიტერატურის პოპულარიზაცია;
- სალონური ტიპის საღამოების ჩატარება;
- მწერლებთან შეხვედრა, დისკუსია;
- კონკურსების ორგანიზება;
- ინტელექტუალური, კულტურული ღონისძიებების ორგანიზება;

მუხლი 5. ლიტერატურული კლუბში დაგეგმილი აქტივობების განხორციელება

- წაკითხული ლიტერატურის განხილვების ორგანიზება;
- ლიტერატურასთან დაკავშირებულ პროექტებში მონაწილეობის წახალისება;
- ლიტერატურასთან დაკავშირებული ვიდეო და აუდიო მასალის დამუშავება:
- თანამედროვე ავტორებთან შეხვედრები და ლიტერატურასთან არსებული პრობლემების ირგვლივ დისკუსია;
- წაკითხული წიგნების პრეზენტაცია,
- ცნობილი წიგნების ეკრანიზაციების მიმოხილვა;

მუხლი 6. კლუბის სამუშაო განრიგი

- კლუბი იკრიბება ორ კვირაში ერთხელ, ასევე საჭიროებისამებრ.
- კლუბი მუშაობას იწყებს საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ